

## იტალიურ-ქართული ბოტანიკური ლექსიკონის XVIII საუკუნის ხელნაწერი

### სალომე კენჭოშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

**საკვანძო სიტყვები:** ქახთუდ-იგადიუხი ბოტანიკური დექსიკონი,  
ქუთაისის კათოლიკური ეკლესია

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელნაწერი შიფრით S4742 წარმოადგენს *იგადიუხ-ქახთუდ დექსიკონს*, რომელიც ჯერ არ გამხდარა სპეციალური კვლევის საგანი. პალეოგრაფიული მონაცემებით, იგი შედგენილი უნდა იყოს XVIII საუკუნის მიწურულს ან მომდევნო საუკუნის დამდეგს. რადგან იტალიური სიტყვები და მათი ქართული შესატყვისები სხვადასხვა ხელითაა შესრულებული, ეს იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ ლექსიკონი ორი პირის-იტალიელი მისიონერისა და ქართველი კათოლიკეს მიერაა შედგენილი. რადგან იტალიური სიტყვების ქართულ შესატყვისებში აქა-იქ გვხვდება იმერული დიალექტის ფორმები (“ბჟოღა”, “იმეხუდი პიღპიღი” და სხვ.), უნდა ვივარაუდოთ, რომ, ისევე როგორც იმავე ხანების “იტალიურ-ქართულ-ლათინური ლექსიკონი” (კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ხელნაწერი Q510), *იგადიუხ-ქახთუდ დექსიკონიც* ქუთაისის კათოლიკეთა ეკლესიის გარემოშია შექმნილი. მისი ქართველი შემდგენლის ან გადაამწერის სახელი უნდა იყოს ანგონ, რომელიც ტექსტისავე ხელით მიწერილია ლექსიკონის ერთ-ერთი მონაკვეთის ბოლოს.

იგი ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორიაში ორენოვანი დარგობრივი, კერძოდ, ბოტანიკური ლექსიკონის პირველ ნიმუშს წარმოადგენს და წინ უსწრებს რაფიელ ერისთავის სა-

ბუნებისმეტყველო ლექსიკონს “მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოებიდან” (1884). იგაღიუხ-ქაჩთუდ რექსიკონში მოცემულია შვიდასზე მეტი იტალიური სიტყვის, ძირითადად – საქართველოში გავრცელებული ან ადგილობრივ ყოფაში ცნობილი უცხო მცენარეების ქართული შესატყვისები; გამონაკლისის სახით გვხვდება სხვა დარგების (ფაუნის, მინერალების, ლითონების) სიტყვების ქართული ეკვივალენტები; დასტურდება მცენარეთა ქართული ნომენკლატურის ისეთი ძირძველი ფორმები, როგორებიცაა: „ქჩისგესსისხა“, „ქჩისგეს ბეჭედი“, „ღანძილი“, „მაჩიამსაკმერი“, „კდისდუმა“, „საგაცუხი“, „თავშავა“, „კოწახუხი“, „მუხყანი“, „კატაბადახა“, „ბაჩამბო“ და სხვ.

რადგან ლექსიკონში წარმოდგენილი მცენარეების იტალიურ სახელწოდებათა არაერთი შესატყვისი („გეგოფადა“, „გევა იერი“, „კოვზაბადახი“ და სხვ.) არ გვხვდება ფლორის ამჟამად არსებულ ლექსიკონებში, ეს გარემოება, შესაძლოა, საგულისხმო აღმოჩნდეს მცენარეთა ქართული სახელწოდების უკვე დაკანონებული ნომენკლატურის სინონიმების შემდგომი დადგენისათვის.

აღნიშნული იტალიურ-ქართული ლექსიკონი ზოგადქართულ კულტურულ ცხოვრებაში იტალიელი მისიონერებისა და ქართველი კათოლიკეების თანამშრომლობის კიდევ ერთი თვალსაჩინო გამოვლინებაა.

## XVIII CENTURY MANUSCRIPT OF THE ITALIAN-GEORGIAN BOTANICAL DICTIONARY

**Salome Kenchoshvili**

Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Faculty of Humanities

**Keywords:** *Italian-Georgian Botanical Dictionary, Kutaisi Catholic Church*

The handwritten text of the Italian-Georgian Dictionary (code: S 4742 at the Korneli Kekelidze Georgian National Center of Manuscripts) until now has not been the subject of special attention. According to the paleographic data, it should have been composed at the end of XVIII or the beginning of XIX century. Italian words and their Georgian equivalents are written in different handwriting and different ink. In all likelihood, the compilers of the dictionary were an Italian missionary and a Georgian Catholic. Apparently, the name of the Georgian compiler was *Anton*, which is indicated at the end of one of the sections of the dictionary. As far as among Georgian equivalents of Italian terms are sometimes found words in the *Imeretian* dialect, it gives us a reason to conclude that this text, like the “Italian-Georgian-Latin Dictionary” (Korneli Kekelidze Georgian National Center of Manuscripts, code: Q 510) of the same period, was compiled by the priests of Kutaisi Catholic Church.

In the history of Georgian lexicography, this manuscript is the first sample of a bilingual botanical dictionary and, as a specialized dictionary, focused upon a specific subject field, precedes Raphael Eristavi’s “Concise Georgian-Russian-Latin Dictionary of Plants, Animals and Metals” (1884).

This manuscript of the Italian-Georgian dictionary contains Georgian correspondences for more than seven hundred Italian names of plants, mainly widespread in Georgia or known in local life. Along with this, as an exception, sometimes there are translations

of the names of words from the branches of fauna, minerals and precious metals.

Since some Georgian equivalents of the Italian names of plants presented in this manuscript are absent in modern Georgian special botanical dictionaries, they can be taken into account when compiling synonyms of the botanical nomenclature.

This manuscript of the “Italian-Georgian Dictionary” is one of the original manifestations of the fruitful cooperation of Italian missionaries in Georgia and Georgian Catholic priests and their contribution to the development of Georgian culture.